საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრი

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

№ 186 „08“ ივნისი 2012 წ.

შ.პ.ს. ,,არქიმედეს კლინიკა”-ზე

ბირთვული და რადიაციული საქმიანობის ლიცენზიის გაცემის შესახებ

,,ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-3 პუნქტისა და ,,ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების შესახებ" საქართველოს კანონის მე-16 მუხლის 1 პუნქტის და მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ე" ქვეპუნქტის, „უფლებამოსილების მინიჭებისა და პასუხისმგებლობის დაკისრების შესახებ" საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის 2012 წლის 30 აპრილის N144 ბრძანების მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტის, ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტის მოვალეობის შემსრულებლის გრიგოლ ბასილიას მოხსენებითი ბარათის და შ.პ.ს. ,,არქიმედეს კლინიკის" დირექტორის განცხადების საფუძველზე:

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გაიცეს ბირთვული და რადიაციული საქმიანობის ლიცენზია შ.პ.ს. ,,არქიმედეს კლინიკა”-ზე შემდეგ საქმიანობაზე: მაიონებელი გამოსხივების გენერატორის სამედიცინო მიზნით გამოყენება.

2. ამ ბრძანების ასლი გაეგზავნოს შ.პ.ს. „არქიმედეს კლინიკა"-ს.

3. ეს ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს მთავრობაში (ქ. თბილისი, ინგოროყვას ქუჩა N7) მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში.

მარიამ ბულიშვილი

მინისტრის პირველი მოადგილე